# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

## ბრძანება N 2-945

22/11/2018 ქ. თბილისი

**ქ. თბილისში სამგორის რაიონში შპს“მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯის“ სამედიცინო ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს (სამედიცინო ნარჩენების ინსინერაცია) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის მე-16 პუნქტის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1.გაიცეს ქ.თბილისში შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯის“ სამედიცინო ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს (სამედიცინო ნარჩენების ინსინერაცია) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა #49; 13.11.2018წ.

2.შპს“მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი“ ვალდებულია გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს #49; 13.11.2018წ სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;

3.ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯს“;

4.ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მედიკალ საპორტ ენ ტექნოლოჯის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5.ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და სამგორის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე;

6.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნოდარ კერესელიძე

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი